Erasmus+ აკადემიური მობილობის პროგრამის ფარგლებში სტუ არქიტექტურის ურბანსტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა 2022 წლის 28 მარტი - 1 აპრილის პერიოდში განახორციელა აკადემიური საქმიანობა მალტის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების დეპარტამენტთან ერთად, პროფ. ლინო ბიანკოს თანამონაწილეობით.

მობილობის ფარგლებში ასოც. პროფ. დავით ბოსტანაშვილმა

- ჩაატარა სამი ლექცია საგანში არქიტექტურის პოეტიკა.
- დაესწრო სასემინარო გამოსვლებს (პროფ. ლინო ბიანკოთან ერთად).
- მონაწილეობა მიიღო აკადემიურ კონსულტაციებში (პროფ. ლინო ბიანკოთან ერთად)

საგანი არქიტექტურის პოეტიკა შექმნილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფ. შოთა ბოსტანაშვილის სწავლების ორიგინალური მეთოდით. საგანს არქიტექტუის პოეტიკა არაერთხელ დაუმსახურებია ყურადღება საერთაშორისო ასპარეზზე. 2015 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა მალტის უნივერსიტეტის ნაშენი გარემოს ფაკულტეტთან. ფაკულტეტის პროფესორმა, ლინო ბიანკომ არაერთი სტატია გამოაქვეყნა უმაღლესი რეიტინგის  საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სადაც გაანალიზებულია არქიტექტურის პოეტიკის ისოტრია და ფილოსოფია.

მოცემული მობილობის საშუალებით გადაგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ერაზმუსის მინდინარე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აკადემიური ვიზიტი მალის უნივერსიტეტიდან ასევე ლეციების კიდევ ერთი ციკლი სტუ-დან მალტის უნივერსიტეტში არქიტექტურის პოეტიკის  სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის გაღრმავების მიზნით.

მალტის უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციების თემატიკა ეხებოდა საგნის საწყისებს, ისტორიას და მეთოდს. ლექციებს ესწრებოდა სწავლების მესამე წლის სტუდენტები.

თავად მალტის უნივერსიტეტის სტუდენტების სასემინარო გამოსვლებზე, რომლის თემატიკა მოიცავს მნიშვნელოვანი არქიტექტორების ნააზრევის ანალიზს და პრეზენტაციას მალტელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ორი მოხსენება არქიტექტურის პოეტიკის მანიფესტის (შოთა ბოსტანაშვილი, 1990) და ნაშენის მანიფესტის (შოთა ბოსტანაშვილი, დავით ბოსტანაშვილი, 2011) შესახებ. მალტისა და სტუს თანამშრომლობის შედეგად საგანი არქიტექტურის პოეტიკა საერთაშორისო აკადემიური დისკურსის ნაწილი ხდება.